დომინანტური მდგომარეობის გამოყენების ფარგლები

თინათინ ხითარიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ გველესიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

“როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თ.ხითარიშვილი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის განვითარება. სწორედ თავისუფალი ვაჭრობის განვითარებაა არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების ძირითადი მიზანი. ამ მიმართულების განვითარება და ხელშეწყობა არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა შეძლოს ეკონომიკური ზრდა და იმ საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, რომლის ვალდებულებაც აიღო საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებით.

ზემოაღნიშნულ პროცესში მნიშნველოვანი ადგილი უჭირავს კონკურენციის სამართლის სწორი რეგულირების მექანიზმების შემუშავებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის და მისი ბოროტად გამოყენების აკრძალვის საკითხი.

დომინანტური პოზიციის ქონა გულისხმობს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას, რაც აძლევს ეკონომიკურ აგენტებს შესაძლებლობას იმოქმედონ თავიანთ ბაზარზე კონკურენტული ძალებისგან დამოუკიდებლად, ამასთან, იგი საშუალებას აძლევთ მათ შესაძლებლობას შეზღუდონ კონკურენცია. აღსანიშნავია, რომ დომინირებული პოზიციის ქონა თავისთავად არ არის უკანონო, ვინაიდან იგი შესაძლებელია იყოს ლეგიტიმური კონკურენტული პრაქტიკისა და ინოვაციების შედეგი.

დომინანტური მდგომარეობის ფარგლების შესაფასებლად კონკრეტულად ერთი ტიპის მიდგომები არ არსებობს, მისი განსაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ეკონომისტებისთვის კონკრეტული დათქმების შეფასება შესაძლებელია საზიანოც აღმოჩნდეს მათი საქმიანობისთვის, თუ ქმედების შეფასება დამოკიდებული იქნება კონკრეტულ დათქმებზე და კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე არ იქნება შეფასებული ქმედების ეკონომიკური ეფექტი. შესაბამისად, ჯერ კიდევ მრავალი კითხვის ნიშანი ჩნდება იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა განიმარტოს ეკონომიკური აგენტების ქმედებები, რათა დადგინდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, ისე რომ არ მოხდეს ჩარევა

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში და არ შეექნას საფრთხე ჯანსაღ კონკურენციას. აღნიშნული განმარტებების გაკეთება განსაკუთრებით რთულია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ კონკურენციის კანონთან მორგებული პრაქტიკული გამოცდილებები, უჭირთ ქმედების სწორი შეფასება და კანონის ნორმასთან შესაბამისი განმარტებების გაკეთება, რაც ცხადია აფერხებს ეკონომიკური სტაბილურობის პროცესს ქვეყანაში და ზრდის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საფრთხეებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული სხვადასხვა ქმედებების შეფასება, რათა შესაძლებელი იყოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და კონკრეტული განმარტებების გაკეთება.

Abstract

One of the key priorities in the modern world is the advancement of free trade. The promotion of free trade is a primary objective in numerous international agreements. The focuse and development of this direction are equally important for Georgia, as it enables economic growth and brings the country closer to international standards outlined in the association agreement. In this context, the development of effective mechanisms to regulate competition law holds great importance. An especially crucial matter is addressing the prohibition of dominant positions and their abuse.

Having a dominant position signifies having substantial market power, granting economic agents the ability to operate independently of competitive forces in their market, as well as the capacity to restrict competition. It is important to note that possessing a dominant position is not inherently illegal, as it can arise from legitimate competitive practices and innovations.

There is no singular approach to determine the extent of a dominant position; its definition relies on various factors. From an economic standpoint, assessing specific restrictions can be harmful for their work if the evaluation of an action depends on particular reservations, rather than assessing the economic impact of the action in the specific case. Consequently, there are still many uncertainties regarding how to interpret the actions of economic agents in order to ascertain instances of abuse of a dominant position. This is done to avoid infringing upon the principle of freedom of contract and to preserve the integrity of healthy competition. This should be done without compromising the principle of freedom of contract and compromising the integrity of healthy competition. Defining these concepts becomes particularly challenging for countries that have lack practical experience in implementing competition law. The difficulty lies in accurately assessing actions and making legal definitions, which can impede the process of achieving economic stability and heighten the risks of abuse of dominant positions within the country.

Given the aforementioned challenges, it is crucial to evaluate the various actions undertaken by economic agents. This evaluation is necessary to develop an appropriate legal framework and establish specific definitions that can effectively address the issues at hand.